# ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

# ოქმი N59

ქ.თბილისი

30 ივნისი, 2020 წელი
16⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ირაკლი ზარქუა

საკრებულოს წევრები:

| | |
|---|---|
| მიხეილ ამაშუკელი | ლევან არველაძე |
| რამინა ბერაძე | გიორგი ბირბიჩაძე |
| ოთარ გრიგოლია | გულია გოცირიძე |
| ბექა დავითულიანი | ლევან დავითაშვილი |
| ლევან დარახველიძე | გიორგი დოხტურიშვილი |
| ერეკლე კუხიანიძე | თევდორე ისაკაძე |
| ნინო ლაცაბიძე | ანა ლაშხი |
| შალვა ოგბაიძე | თინათინ ნიბლოშვილი |
| ლევან ჟორჟოლიანი | ნინო რუხაძე |
| დათო რურუა | თამარ ტალიაშვილი |
| რევაზ სოხაძე | გიორგი ჩაკვეტაძე |
| დავით უთმელიძე | ვლადიმერ ძნელაძე |
| დავით ჭელიძე | ლევან ჯაფარიძე |
| ილია ჯიშკარიანი | ჯაბა ჯიშკარიანი |
| ქეთევან ჯოხაძე | |

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი მარიამ კვერნაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ფრიდონ ინჯიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემელაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გოჩა თევდორაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემელაძე

3. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „სატრანსპორტო კომპანიას“ შორის „თბილისის მეტროს პროექტთან“ დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: დავით ჯაიანი

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩივიაშვილი

5. „ქალაქ თბილისში, გიორგი ბერიაშვილის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი N01.19.19.004.033.01.003 და N01.19.19.004.033.01.053) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

6. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის, მე-6 კვარტლის კორპუსი N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.030.010.01.040) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

7. „ქ.თბილისში, მინდელის ქუჩა N5, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

8. „ქ.თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, ზემო პლატოს II მიკრორაიონის, კორპუსი N19-ში (ნაკვეთი N07/029, საკადასტრო კოდი: N01.19.20.007.029), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი უძრავი ქონების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

9. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი N01.15.07.003.068) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

10. „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება III მიკრორაიონის კორპუსი N27-ის მიმდებარედ არსებული 972 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.105) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

11. „ქალაქ თბილისში, მარჯანიშვილის ქ.N16, კორპუს 3-ში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.13.08.007.020.01.028) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ზურგოვანას“ (ს/კ.: 402027551) შორის 2019 წლის პირველ მაისს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-459-10-23267 ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

13. „ქალაქ თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 66 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.033.936) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ და კ რესტორნებისთვის“ (ს/ნ.: 204909180) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

14. „ქალაქ თბილისში, ტაბიძის ქუჩა N9-ის მიმდებარედ არსებული 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.074.018) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აუსგანგისთვის“ (ს/კ.: 405147498) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

15. „ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „თბილისი პარკს“ (ს/კ.: 404911789) შორის 2012 წლის 27 მარტს გაფორმებულ „მთაწმინდის პარკის გრძელვადიანი იჯარის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

16. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

17. „ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.18.747; N72.16.18.341; N72.16.18.722) სასწავლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

18. „ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი N71, (ნაკვ.5/6), N71ა, მატროსოვის ქუჩა N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.12.005.008; N01.17.12.005.025; N01.17.12.005.024; N01.17.12.005.026; N01.17.12.005.001; N01.17.12.005.006; N01.17.12.005.011) და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

19. „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.399) და მის მიმდებარედ არსებულ უფლებადაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთებზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

20. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.30.001.261) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

21. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ.N12-14-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N269 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

22. „ქ.თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.03.652), ინდივიდუალური სააგარაკე უბნისა და ბავშვთა დასასვენებელი ბანაკის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 5 ივნისის N1392 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე".

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ფრიდონ ინჯიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. მან განმარტა, რომ 2020 წლის 24 ივნისს, საკრებულოს წევრმა, ფრიდონ ინჯიამ, უფლებამოსილების მოხსნის შესახებ თავმჯდომარეს მიმართა წერილობითი განცხადებით (წერილის N03-0320176174) და მას უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღიდან (25.06.2020წ.).

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ცნობად მიიღო ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ფრიდონ ინჯიას, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გოჩა თევდორაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. მან განმარტა, რომ 2020 წლის 24 ივნისს, საკრებულოს წევრმა, გოჩა თევდორაძემ, უფლებამოსილების მოხსნის შესახებ თავმჯდომარეს მიმართა წერილობითი განცხადებით (წერილის N03-0320176172) და მას უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღიდან (25.06.2020წ.).

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ცნობად მიიღო ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გოჩა თევდორაძის, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

3. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „სატრანსპორტო კომპანიას“ შორის „თბილისის მეტროს პროექტთან“ დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ დავით ჯაიანმა და განმარტა, რომ სესხის თანხა შეადგენს 75 მილიონ ევროს და ის განკუთვნილია მეტროს რეაბილიტაციის შემდგომი ეტაპის ღონისძიებების ჩასატარებლად. კერძოდ: მეტროს 40 ვაგონის შესყიდვა, მეტროსადგური ნაძალადევის რეაბილიტაცია და მეტროს პირველი და მეორე ხაზების შემაერთებელი გვირაბის რეაბილიტაცია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესს ემატება ერთი პუნქტი, რომელიც საშუალებას იძლევა, ბენეფიციარებს სეანსები ჩაუტარდეთ დისტანციურად და ასევე, მომსახურების განმახორციელებლებს, ქვეყანაში არსებული „ახალი კორონა ვირუსის“ ეპიდემიდან

გამოდინარე, ქვეპროგრამის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, უფლება აქვს მიიღოს წესისგან განსხვავებული გადაწყვეტილება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისში, გიორგი ბერიაშვილის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი N01.19.19.004.033.01.003 და N01.19.19.004.033.01.053) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 93.62 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი ოჯახისთვის, რომელიც 2008 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის, მე-6 კვარტლის კორპუსი N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.030.010.01.040) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 21 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2002 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქ.თბილისში, მინდელის ქუჩა N5, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია საცხოვრებელი ფართების გადაცემა ოთხი ოჯახისთვის, რომელიც 1997 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე. აღსანიშნავია, რომ ისინი არიან კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირები და უძრავი ქონების გადაცემის სანაცვლოდ უარს ამბობენ სახელმწიფოს მიერ მათ წინაშე არსებულ საშინაო ვალზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქ.თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, ზემო პლატოს II მიკრორაიონის, კორპუსი N19-ში (ნაკვეთი N07/029, საკადასტრო კოდი: N01.19.20.007.029), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი უძრავი ქონების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 166 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი ოჯახისთვის, რომელიც 2002 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე. აღსანიშნავია, რომ ისინი არიან კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირები და უძრავი ქონების გადაცემის სანაცვლოდ უარს ამბობენ სახელმწიფოს მიერ მათ წინაშე არსებულ საშინაო ვალზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი N01.15.07.003.068) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 143 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი პირისთვის, რომელთაგან ერთი 30 წელი, ხოლო მეორე 15 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება III მიკრორაიონის კორპუსი N27-ის მიმდებარედ არსებული 972 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.105) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მუნიციპალურ და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის საკითხი, რაც გამოწვეულია იმით, რომ კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი სამშენებლოდ გამოუსადეგარია და

ასევე, ახალი გენერალური გეგმით შეიცვალა ზონის სტატუსი და საცხოვრებელი ზონა 5-ის ნაცვლად, მის ძირითად ნაწილზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 და მცირე ნაწილზე - საცხოვრებელი ზონა 3.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, მარჯანიშვილის ქ.N16, კორპუს 3-ში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.13.08.007.020.01.028) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია უძრავი ქონების გადაცემა მოქალაქე გივი გაჩეჩილაძისთვის, რომელიც ფლობს სამ ოთახიანი ბინის საბინაო ორდერს, რომლის საფუძველზეც გადაცემული აქვს ერთ ოთახიანი ბინა, თუმცა, მისი განცხადებით, ხსენებული უძრავი ქონების გადაცემით არც მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა და არც საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესდა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ზურგოვანას" (ს/კ.: 402027551) შორის 2019 წლის პირველ მაისს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-459-10-23267 ხელშეკრულებით" გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია აუქციონის ფორმით განკარგულ ქონებაზე გარკვეული პირობის ცვლილების საკითხი, კერძოდ, პირობის თანახმად, მიწის ნაკვეთი უნდა განვითარებულიყო გრგ-ს ფარგლებში, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ტერიტორიის ნაწილზე განხორციელდა ზონის სტატუსის ცვლილება და დღეს ვრცელდება სატრანსპორტო ზონა, შესაძლებელია ზემოთ ხსენებული პირობის მოხსნა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 66 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.033.936) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ

და კ რესტორნებისთვის“ (ს/ნ.: 204909180) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისში, ტაბიძის ქუჩა N9-ის მიმდებარედ არსებული 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.074.018) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აუსგანგისთვის“ (ს/კ.: 405147498) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „თბილისი პარკს“ (ს/კ.: 404911789) შორის 2012 წლის 27 მარტს გაფორმებულ „მთაწმინდის პარკის გრძელვადიანი იჯარის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით და დამატებებით მუნიციპალიტეტს საბაგირო გზის მშენებლობისთვის ეძლევა ორ წლიანი ვადა, სატრანსპორტო კომპანია იღებს ვალდებულებას ფართები გამოისყიდოს იმ კერძო მესაკუთრეებისგან, რომელთა უძრავი ქონება მდებარეობს საპროექტო ტერიტორიაზე, ხოლო შპს „თბილისის პარკი“ უარს ამბობს მუნიციპალიტეტის წინააღმდეგ არსებულ მოთხოვნებზე და ამავდროულად, საკუთარი სურვილით, საპროექტო ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრეებს უხდის დამატებით თანხას, რაც არ ჩაითვლება იჯარის თანხაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

16. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით წინადადებები წარმოდგენილია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილებით: N12-032018169-03 თარიღი: 29.06.2020; N12-032016791-03 თარიღი: 15.06.2020; N12-032016792-03 თარიღი: 15.06.2020; N16-03201683-03 თარიღი: 16.06.2020; N12-032017048-03 თარიღი: 18.06.2020; N12-032017049-03 თარიღი: 18.06.2020; N12-032014984-03 თარიღი: 28.05.2020; N12-032015641-03 თარიღი: 04.06.2020; რომელთაგან, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დამატებით შესწავლას მოითხოვს და შესაბამისად, განსახილველად უნდა გადაიდოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის N16-03201683-03 წერილით წარმოდგენილი მე-4, N12-032017049-03 წერილით წარმოდგენილი პირველი და მე-7 და N12-032017048-03 წერილით წარმოდგენილი მე-2 პოზიციები, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

17. „ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.18.747; N72.16.18.341; N72.16.18.722) სასწავლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაგეგმილია ტერიტორიის განვითარება საგანმანათლებლო ფუნქციით,სადაც გათვალისწინებულია სკოლისა და საბავშვო ბაღის ფუნქციონირება ე.წ. „ვალდორფის სკოლა-ბაღი“, რომელიც მოემსახურება 700-მდე ბავშვს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი N71, (ნაკვ.5/6), N71ა, მატროსოვის ქუჩა N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.12.005.008; N01.17.12.005.025; N01.17.12.005.024; N01.17.12.005.026; N01.17.12.005.001; N01.17.12.005.006; N01.17.12.005.011) და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის

ფართობია 12930 კვ.მ., რომელზეც განთავსებულია ოთხ სართულიანი სასტუმრო და ორ სართულიანი შენობა-ნაგებობა. დაგეგმილია ტერიტორიის განვითარება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით, სადაც გათვალისწინებულია საცხოვრებელი, კომერციული, საოფისე, სასტუმრო და საბავშვო ბაღის განთავსება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

19. „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.399) და მის მიმდებარედ არსებულ უფლებადაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთებზე საგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაგეგმილია საგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანება, სარეკრეაციო ზონა 3-ის შესაბამისად.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

20. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.30.001.261) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაგეგმილია 12 სართულიაინი, მაქსიმუმ 44 მეტრის სიმაღლის სასტუმროს მშენებლობა, რომელიც შედგება 4 ძირითადი და ერთი ცალკე მდგომი შენობა-ნაგებობისგან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

21. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ.N12-14-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N269 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია კ1 და კ2 კოეფიციენტების ზრდა, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით. ასევე, წარმოდგენილია შენობებს შორის არსებული მანძილის და კ3 კოეფიციენტის მაჩვენებლის გაზრდაც. აღსანიშნავია, რომ პროექტის დასრულების შემდეგ, თვითმმართველს გადაეცემა 1005 კვ.მ. ფართი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

22. „ქ.თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.03.652), ინდივიდუალური სააგარაკე უბნისა და ბავშვთა დასასვენებელი ბანაკის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 5 ივნისის N1392 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირებით წარმოდგენილია 8290 კვ.მ. ტერიტორიისთვის სატრანსპორტო ზონა 1-ის მინიჭება, რაც მიზანშეწონილია იქიდან გამოდინარე, რომ არ იცვლება ძირითადი ქალაქგეგმარებითი სამშენებლო მაჩვენებლები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 2 დადგენილება და 18 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი